


№ 44 — 1916
კვირა, 30 ღვინობის.
წელ. მეოთხე გამოცემისა
ფასი 12 კ.



არქეოლოგ-ისტორიკოსი
თევდორე დავითისძე ჟორდანია (1854—1916)

ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზ-ას თავისი თანამშრომლის არქეოლოგ-ისტორიკოსის **თედო ჟორდანიას** გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალულ იქნება კვირას, ღვინობისთვის 30, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—დიდუბეში.

## შინაარსი:

1, მეთაური — დროა საქმეს მივყოთ ხელი . 1
2, ს. აბაშელი — იისფერი თვალები . . . .
3, გ. ქუჩიშვილი — ექსპრომტი . . . . .
4, იოსებ არიმათიელი — დევნილი მოღვაწე .
5, ნ. მიწიშვილი — მდუმარება . . . . . .
6, ივ. გომართელი — ვლადიმერ სტაროსელსკი
7, ვ. რუხაძე — დილა . . . . . . . . . .
8, ფ. რუშაველი — ლტოლვა . . . . . . .
9, ალა ნორიელი — დეკ. კ. კეკელიძე . .
10, ვეფხო ფშაველი — ელენორა . . . . 1
11, ს. ერთაწმინდელი — მძინარე არწივი .
12, ნ. ელიაშვილი — იძულებულნი . . . 1
13, ახლოზელი — ზრთვინტ მოღვაწე ქალები 1
14, ევ. ფურცხვანიძე სიკვდილის მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღვინობისთვის 30

**დროა საქმეს მივყოთ ხელი!**

კლდეს გახვრეტს წვეთ თუ მუდამ ერთ ადგილს დაეცინებაო, უთქვამს ჩვენს ხალხს და ჩვენც ხშირად გაგვიმეორებია.

მერე ვინ ისმენს ამ სიბრძნეს?

ქართული მელპომენის მსახურთა უნუგეშობამ, თბილისის ქართული სამღოთ ცველო ხელოვნების ტაძრის ჩანთქმამ ლამის ქვანიც აატირემლოს, არა ერთი და ორი აზრი მჟღავნდება, არაერთი და ორი გეგმა იწერება თეატრის ასაგებად, შესრულებელი-კი არავინაა...

ჩვენს თვალწინ იმხობა და ნადგურდება სამეფო სახელმწიოთენი, მკვდრეთით სდგებიან სხვანი, ჩვენ-კი. .

მხოლოდ გაუთავებელი შუღლი, ერთურთის დამცირება გვახულდგმულებს

ზღვა კოვზით დაილიაო, ჩვენ-კი „მცირე“ საქმეზე ხელს არ ვძრავთ, „დიდთა“ საქმეთა ღირსად არვინ გვყოფს.

განსვენებულმა გ. გძელიშვილმა სულ მცირე საქმე დაიწყო—„ახალ კლუბს“ ქართული თეატრის სასარგებლოდ კერძებზე შაური წაამატებინა. მაშინ ამ აზრმა ბევრს ღიმიც მოჰგვარა,— დღეს-კი ამ შაურობით სათეატრო ფონდისთვის ოცი ათას მანათზე მეტია შეკრებილი.

ერთერთს ჩვენს მეთაურში ამ წლი-ნახევრის წინად თეატრის ამგებ კომიტეტს ეგრედ წოდებული „აგურების“ გამოცემა ვურჩიეთ,—მათ თითქოს არც კი გაიგესო; სამაგიეროდ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ ამ აზრით ისარგებლა, უკვე რვა ათას მანათზე მეტი შეკრიბა და კიდევაც ჰკრებს ქართველ მოღვაწეთა ბგარაკისთვის...

ქართული თეატრის ასაგებად სხვა საშუალებათა შორის, ბ-მა თეატრის მეგობარმა გასულ კვირას ფრიად გონივრული რჩევა მოგვცა (იხ. „საქარ.“ 235, წერილი „საშუალება თეატრის ასაგებად“): ისეთ ფასიანი ლატარია გავმართოთ სამი მილიონის თანხისა თითო მანათიანი ბილეთითო.

რა ცოცხალი და პრაქტიკული აზრია, მაგრამ აბა თუ ჩვენი თეატრის ჭირის უფალნი გულისხმას ჩავარდნენ!?

რაო, საერთაშორისო ომია, თითქმის მთელი საქართველო ბრძოლის ველზეა და უზომო სიძვირე ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა?!—

სამაგიეროდ ამოდენა ფული ხომ შემდეგ, როცა ომი გათავდება და ქვეყანას მრავალი მახინჯ-საპყარი დაუბრუნდება, უამრი ქვრივობოლი დაიკვნესებს,—აღარ იქნება.

განა გახსოვთ გასართობებს ეგოდენი მრევლი როდისმე ჰყოლოდეს?

„დრო საშურია, დაუხმოთ ქვას და ლოდესა“, თორემ მერე შეილება გვიან-ღა იყოს.

## იისფერი თვალები.

(რონდო)

ორი იისფერ ყურძნის მარცვალი,
ან ორი ია რძეში მცურავი.—
შავ წამწამებით დასაბურავი
ცისფერ ყვავილზე სხივ-მთვინარ ცვარი.

შენს თვალებს გარდა სხვაგან არც არი
შორის ალერსით დასაწურავი
არი იისფერ ყურძნის მარცვალი
ან ორი ია რძეში მცურავი.

სხვაგან ნუ ეძებს ის ნურავინ,
ია აქ ჰყვავის, ორი, არ ცალი,
ეჰ, არც იაა ეგ და არც თვალი,—
ეგ არის კოცნით დასაწურავი
ორი იისფერ ყურძნის მარცვალი.

[illegible]

## ექსპრომტი.

(გ. სააკაშვილს)

კმარა რაც რომ ვიოცნებეთ
მამაპაპურ ძველ წარსულზე,
და, ათასი ვიგინდარა
ვახარხარეთ ერის წყლულზე.

—

შევკავშირდეთ, შევკრათ პირი,
გავახილოთ ყველამ თვალი,
დავიცვათ და განვამტკიცოთ
ჩვენი აწმყო—მომავალი.

გ. ქუჩიშვილი

# დევნილი მოღვაწე

## არქეოლოგ-ისტორიკოსი თედო დავ. ჟორდანია

მიეცით კეისრისა კეისარსა,
და ღვთისა ღმერთსა.
წმ. სახარება.

„ტანჯვა-წამება, მოძმეთგან დევნა მე ქუდ-ბედითა თან დამყოლია!“—თამამად შეეძლო თავის თავზე ეთქვა ჩვენს ისტორიკოს-არქეოლოგოსს თევდორე (თედო) დავითის ძე ჟორდანიას, რომელიც ღვინობისთვის 22 კასპში გარდაიცვალა და დღეს-კი, ღვინობისთვის 30, დიდუბის სავანეში მიებარება სამარეს ჩვენის ქვეყნის მადლიან შვილებთან ერთად.

სიყმაწვილეში ადრე დაობლება, სიღარიბით სწავლა, სიჭაბუკეში გაჭირვება, დავაჟკაცებაში—შეუჩერებელი მუშაობა, როგორც სამსახურში (ჯერ მასწავლებელი იყო, მერე საეპარქიო სკოლათა მეთვალყურე), ისე კერძოდ ჩვენის წარსულის შესწავლა-გამოკვლევის დროს და სიკვდილის კარამდე შეუჩერებელი დევნა,—აი, ვინ იყო თედო ჟორდანია...

თ. ჟორდანია დაიბადა 1854 წ. 20 აპრ. დედა სიყმაწვილეშივე გარდაეცვალა, მამა-კი ბერად შესდგა და ათეხაზეთს გამწესდა მისიონერად, რის გამოც პატარა თედორე იზრდებოდა ჯერ თვის ძიძის, მერე მამიდის სახლში და ბავშობიდანვე შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწაფე, მთავრობის ხარჯით გაიგზავნა სასულიერო აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1879 წ. ამავე წლის ენკენისთვეში გაამწესეს მასწავლებლად თბ. სას. სასწავლებელში; სამღვდელოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველად აარჩია (სამღვდელოებას მაშინ ეს უფლება ჰქონდა). შემდეგ გადავიდა სემინარიაში, სადაც 1896 წ-დე დაჰყო. სემინარიაში მასწავლებლობის დროს ღრმა კვალიც დააჩნია: მისი მეცადინეობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიის, რომელიც თავიდანვე ეპყრა. მისი მოწაფენი იყვნენ: ლეონიდე, დავით და ანტონ ეპისკოპოსნი, ნოე ჟორდანია, თ. სახოკია, ივ. ვართაგავა, ს. გორგაძე, მ. კორ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. კელენჯერიძე, გ. იმნაიშვილი და სხ. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა (1889 წ.), რომელიც დღესაც ერთ საყურადღებო სახელმძღვანელოდ ითვლება. 1896 წ. ჯერ გურია-სამეგრელოს, ხოლო შემდეგ (1904 წ.) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გაამწესეს, სადაც ქართული ენის სწავლება გააჩაღა, თუმცა სდევნიდენ კიდეც და სამსახურიც 1911 წ. იძულებით დასტოვა (სხვათა შორის, უსაყვედურეს—„რუსული ენა ცუდათ ისწავლებაო“). ბოლოს პიტირიმ ეგზარხოსმა ეპ. სკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იკისრა და საისტორიო შრომას მიჰყო ხელი.

მრავალ საგაზეთო წერილის გარდა, დაწერილი აქვს რუსულად: 1) Святѣйшій Синодъ при Петрѣ Великомъ ч.(1884 წ); Философія Платона (188 წ.). ქართულად შეადგინა კატალოგი საეკლესიო და წ. კ. ს. მუზეუმებისა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვანი, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილი იყო როგორც ქრონიკების შემკრებ-გამომცემელი... დიდს ყურადღებას აქცევდა საქართველოს სიძველეთა შეკრება-დაცვას. სხვათა შორის მან მოიგონა ძველი მონასტრების ნახატ-ფრესკების გადმოხატვა, რასაც ბეჯითად შეუდგა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. ქრონიკებისა მხოლოდ ორი დიდი წიგნია გამოცემული (1893,—7 წ.),

ბოლო ხანებში დასწერა „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე“ და „არაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII საუკუნეშია“. იგი ცნობილია პრაქტიკულ მოღვაწეობითაც: აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს (დადიოდა, მოწაფეებს აგროვებინებდა), შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ქართ. გიმნაზიის სასკოლო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა და სხ.

## ღვინობისთვის 30

**დროა საქმეს მივყოთ ხელი!**

კლდეს გახვრეტს წვეთ თუ მუდამ ერთ ადგილს დაედინებაო, უთქვამს ჩვენს ხალხს და ჩვენც ხშირად გაგვიმეორებია.

მერე ვინ ისმენს ამ სიბრძნეს?

ქართული მელპომენის მსახურთა უწუგეშობამ, თბილისის ქართული სამღოცველო ხელოვნების ტაძრის ჩანთქმამ ლამის ქვანიც აატირებს, არა ერთი და ორი აზრი მჟღავნდება, არაერთი და ორი გეგმა იწერება თეატრის ასაგებად, შესრულებელი-კი არავინაა...

ჩვენს თვალწინ იმხობა და ნადგურდება სამეფო სახელმწიფოები, მკვდრეთით სდგებიან სხვანი, ჩვენ-კი. .

მხოლოდ გაუთავებელი შუღლი, ერთურთის დამცირება გვახულდგმულებს

ზღვა კოვზით დაილიაო, ჩვენ-კი „მცირე“ საქმეზე ხელს არ ვძრავთ, „დიდთა“ საქმეთა ღირსად არვინ გვყოფს.

განსვენებულმა გ. გძელიშვილმა სულ მცირე საქმე დაიწყო—„ახალ კლუბს“ ქართული თეატრის სასარგებლოდ კერძებზე შაური წაამატებინა. მაშინ ამ აზრმა ბევრს ღიმიც მოჰგვარა,— დღეს-კი ამ შაურობით სათეატრო ფონდისთვის ოცი ათას მანათზე მეტია შეკრებილი.

ერთერთს ჩვენს მეთაურში ამ წლი-ნახევრის წინად თეატრის ამგებ კომიტეტს ეგრედ წოდებული „აგურების“ გამოცემა ვურჩიეთ,—მათ თითქოს არც კი გაიგესო; სამაგიეროდ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ ამ აზრით ისარგებლა, უკვე რვა ათას მანათზე მეტი შეკრიბა და კიდევაც ჰკრებს ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის...

ქართული თეატრის ასაგებად სხვა საშუალებათა შორის, ბ-მა თეატრის მეგობარმა გასულ კვირას ფრიად გონივრული რჩევა მოგვცა (იხ. „საქართ.“ 235, წერილი „საშუალება თეატრის ასაგებად“): ჩაოთ ფასიანი ლატარია გავმართოთ სამი მილიონის თანხისა თითო მანათიანი ბილეთითო.

რა ცოცხალი და პრაქტიკული აზრია, მაგრამ აბა თუ ჩვენი თეატრის ჭირის უფალნი გულისხმას ჩავარდნენ!?

რაო, საერთაშორისო ომია, თითქმის მთელი საქართველო ბრძოლის ველზეა და უზომო სიძვირე ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა?!—

სამაგიეროდ ამოღენა ფული ხომ შემდეგ, როცა ომი გათავდება და ქვეყანას მრავალი მახინჯ-საპყარი დაუბრუნდება, უამრი ქვრივობოლი დაიკვნესებს,—აღარ იქნება.

განა გახსოვთ გასართობებს ეგოდენი მრევლი როდისმე ჰყოლოდეს?

„დრო საშურია, დაუხმოთ ქვას და ლონესა“, თორემ მერე შეიღება გვიან-ღა იყოს.

## იისფერი თვალები.

(რონდო)

ორი იისფერ ყურძნის მარცვალი,
ან ორი ია რძეში მცურავი.—
შავ წამწამებით დასაბურავი
ცისფერ ყვავილზე სხივ-მფინარ ცვარი.

შენს თვალებს გარდა სხვაგან არც არი
შორის ალერსით დასაწურავი
არი იისფერ ყურძნის მარცვალი
ან ორი ია რძეში მცურავი.

სხვაგან ნუ ეძებს იას ნურავინ,
ია აქ ჰყვავის, ორი, არ ცალი,
ეჰ, არც იაა ეგ და არც თვალი,—
ეგ არის კოცნით დასაწურავი
ორი იისფერ ყურძნის მარცვალი.

**ექსპრომტი.**

(გ. სააკაშვილს)

კმარა რაც რომ ვიოცნებეთ
მამაპაპურ ძველ წარსულზე,
და, ათასი ვიგინდარა
ვახარხარეთ ერის წყლულზე .

—

შევკავშირდეთ, შევკრათ პირი,
გავახილოთ ყველამ თვალი,
დავიცვათ და განვამტკიცოთ
ჩვენი აწმყო—მომავალი.

**გ. ქუჩიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევნილი მოღვაწე

## არქეოლოგ-ისტორიკოსი თედო დავ. ჟორდანია

მიეცით კეისრისა კეისარსა,
და ღვთისა ღმერთსა.
წმ. სახარება.

„ტანჯვა-წამება, მოძმეთგან დევნა მე ქუდ-ბედითა თან დამყოლია!“ — თამამად შეეძლო თავის თავზე ეთქვა ჩვენს ისტორიკოს-არქეოლოგოსს თევდორე (თედო) დავითის ძე ჟორდანიას, რომელიც ღვინობისთვის 22 კასპში გარდაიცვალა და დღეს-კი, ღვინობისთვის 30, დიდუბის სავანეში მიებარება სამარეს ჩვენის ქვეყნის მადლიან შვილებთან ერთად.

სიყმაწვილეში ადრე დაობლება, სიღარიბით სწავლა, სიჭაბუკეში გაჭირვება, დავაჟკაცებაში — შეუჩერებელი მუშაობა, როგორც სამსახურში (ჯერ მასწავლებელი იყო, მერე საეპარქიო სკოლათა მეთვალყურე), ისე კერძოდ ჩვენის წარსულის შესწავლა-გამოკვლევის დროს და სიკვდილის კარამდე შეუჩერებელი დევნა, — აი, ვინ იყო თედო ჟორდანია...

თ. ჟორდანია დაიბადა 1854 წ. 20 აპრ. დედა სიყმაწვილეშივე გარდაეცვალა, მამა-კი ბერად შესდგა და აფხაზეთს გამწესდა მისიონერად, რის გამოც პატარა თედორე იზრდებოდა ჯერ თვის ძიძის, მერე მამიდის სახლში და ბავშობიდანვე შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწაფე, მთავრობის ხარჯით გაიგზავნა სასულიერო აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1879 წ. ამავე წლის ენკენისთვეში გაამწესეს მასწავლებლად თბ. სას. სასწავლებელში; სამღვდელოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველათ აარჩია (სამღვდელოებას მაშინ ეს უფლება ჰქონდა). შემდეგ გადავიდა სემინარიაში, სადაც 1896 წ-მდე დაჰყო. სემინარიაში მასწავლებლობის დროს ღრმა კვალიც დააჩნია: მისი მეცადინეობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიის, რომელიც თავიდანვე ეჭირა. მისი მოწაფენი იყვნენ: ლეონიდე, დავით და ანტონ ეპისკოპოსნი, ნოე ჟორდანია, თ. სახოკია, ივ. ვართაგავა, ს. გორგაძე, მ. კორ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. კელენჯერიძე, გ. იმნაიშვილი და სხ. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა (1889 წ.), რომელიც დღესაც ერთ საყურადღებო სახელმძღვანელოდ ითვლება. 1896 წ. ჯერ გურია-სამეგრელოს, ხოლო შემდეგ (1904 წ.) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გაამწესეს, სადაც ქართული ენის სწავლება გააჩაღა, თუმცა სდევნიდენ კიდეც და სამსახურიც 1911 წ. იძულებით დასტოვა (სხვათა შორის, უსაყვედურეს — „რუსული ენა ცუდათ ისწავლებაო“). ბოლოს პიტირიმ ეგზარხოსმა ეპისკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იკისრა და საისტორიო შრომას მიჰყო ხელი.

მრავალ საგაზეთო წერილის გარდა, დაწერილი აქვს რუსულად: 1) Святѣйшій Синодъ при Петрѣ Великом ч.(1884 წ); Философія Платона (188 წ.). ქართულად შეადგინა კატალოგი საეკლესიო და წ. კ. ს. მუზეუმებისა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვანი, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილი იყო როგორც ქრონიკების შემკრებ-გამომცემელი... დიდს ყურადღებას აქცევდა საქართველოს სიძველეთა შეკრება-დაცვას. სხვათა შორის მან მოიგონა ძველი მონასტრების ნახატ-ფრესკების გადმოხატვა, რასაც ბეჯითად შეუდგა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. ქრონიკებისა მხოლოდ ორი დიდი წიგნია გამოცემული (1893, — 7 წ.),

ბოლო ხანებში დასწერა „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე“ და „არაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII საუკუნეშია“. იგი ცნობილია პრაქტიკულ მოღვაწეობითაც: აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს (დედნებს და, მოწაფეებს აგროვებინებდა), შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ქართ. გიმნაზიის სასკოლო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. დ. ჟორდანი ჭაბუკურის გატაცებით ემსახურებოდა სამშობლო ისტორიის კვლევა-ძიებასა და ერთისა უკეთესი მცოდნეთაგანი იყო ქართული საერო და საეკლესიო ისტორიისა... *)

თედო ჟორდანია იყო ერთი იმ ქართველთაგანი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის გამრუდებულ ხვედრის წყალობით ორ ცეცხლ შუა, ზღვასა და ფრიალო კლდის შორის მოქცეულან. გარედან თუ უცხო ქერქს ატარებენ შიგნიდან, გულით სამშობლო ქვეყნის სიყვარულს ღრმად განიცდიან, მამულის უკეთეს მერმისს შესტრფიან და თავისებური შეგნებით ემსახურებიან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრით იდევნებიან: თანამემამულეთაგან, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფნი, მთავრობისაგან, როგორც სამშობლო ქვეყნის ერთგულნი შვილნი!..

ვისაც პური სჭამო, მისივე ხმალი იხმარეო, იტყვიან ჩვენში. თედოსაც შეეძლო, როგორც არა ერთი და ორი ქართველი ირჯება, ასევე მოქცეულიყო, მაგრამ არა: იგი სამშობლო ქვეყნის სევდას მარად გულით ატარებდა, ამ საქვეყნო სევდის შემსუბუქებისთვის, ე. ი. სამშობლოს გათვითცნობიერებისათვის იღვწოდა, და თუ მასზე მეტი ვერ შექმნა, რაც დაგვიტოვა, ეს მის წინაალმდეგ გამართულ ქვებუდნაობისა, მისი დევნის ბრალია...

თედო არ იყო მყვირალი, ეგრედ წოდებული წუთის გმირი, მაგრამ მასწავლებლობის და მეთვალყურეობის დროს კანონიერ ნიადაგზე მდგარი მოქმედებით ყოველთვის სამშობლო ქვეყნის ინტერესებს იცავდა.

მისი მოწყალებით იყო, რომ სასულიერო სემინარიაში ქართული ენის კათედრა დაფუძნდა.

მისი მეცადინეობით იყო, რომ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა განამტკიცეს, თუმცა სწორედ მას უკიჟინებდენ— ქართული ენა მოსპოვო.

მისი კანონიერ ნიადაგზე შეუდრეკელ ბრძოლის საბუთები დღესაც მრავლად ინახება საეპარქიო საბჭოს და სხ. არქივებში...

როგორც მოხელე, მართებლობას ემსახურებოდა, მაგრამ ამავე დროს გონივრულად იცავდა თავის ერის უფლებათ...

როგორც მასწავლებელი, მარტო ქართულ ენის ვიწრო პროგრამით არა კმაყოფილდებოდა, არამედ თვის მოწაფეთა გულში ღრმად ნერგავდა სამშობლო ქვეყნის ისტორიის, მწერლობისა და მისი სამსახურის სიყვარულს...

როგორც ისტორიკოსი, სამშობლო ქვეყნის წარსულის მკვლევარი ხომ საყოველთაოდ ცნობილია, ვითარცა ღრმა მცოდნე...

როგორც მიჯნურს სატრფო გულისა, როგორც მგოსანს მომწიფებული, მაგრამ ჯერ ქაღალდზე გადუღებელი ლექსი, თედოს ისე უყვარდა სამშობლო ისტორიის კვლევა...

ამ მხრით მისი შრომა ფრიად საყურადღებოა.

მას ღრმადა სწამდა, რომ ვიდრე საქართველოს ისტორიის მასალები, ძველი სიგელ-გუჯრები, წერილობითი, მხატვრობითი, ნივთიერობითი თუ სხვა ძეგლები არ შეიკრიბება, ისე სრული ისტორია არ დაიწერებაო და ამიტომაც დიდის ხალისით უყრიდა თავს ასეთ ნაშთებს...

აი როგორ ახასიათებენ თ. ჟორდანიას სხვა და სხვა ცნობილნი და ყოვლად სანდო პირნი:

პიტირიმ მიტროპოლიტი— ჩაესვენა სამარეს შვენება და სიამაყე საქართველოსი; ლეონიდ ეპისკოპოსი— იგი იყო უწარჩინებულესი ქართველი არქეოლოგოს-ისტორიკოსი; ნ. მახათაძე (დირექტორი 2 საკ. სასწ.) იგი იყო თვალსაჩინო სამეცნიერო-საპედაგოგიო ძალა, დიდად განსწავლილი და მომზადებული, თვისი ხალხის ენისა და ისტორიის მცოდნე, მოზარდი თაობის სულის მესაიდუმლე, თვის მოწაფეთა გული მტკივნეული მზრუნველი...

ამ სამიოდე წლის წინად დავით ეპისკოპოსმა ხომ საქვეყნოდ გამართლა— ერთგული მამულიშვილიაო.

და მიუხედავად ამისა, მაინც დაუნდობლად სდევნიდენ, თუმცა ბოლოს ჩვენის ქვეყ-

---

*) ამოღებულია გასული წლის „თ. და ც." № 43 ჩემივე წერილიდან „საზოგადო მოღვაწენი— თ. ჟორდანია". ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შვილთ,—მათ შორის სულმნათმა აკაკიმაც, თვისი შეცდომა აღიარეს უსაბუთოდ იდევნებოდით...

მაგრამ იყო ნაწილი, რომელიც ამ ქაღარა მოსილს და სამშობლო ქვეყნის სიყვარულით გულგახურებულ ადამიანს მუდამ ქვაგუნდას უშენდა.

ჩვენებურმა გაუტანლობამ, ქირდვნამ დაადუნა, ჩახლიჩა იგი და ეს ჩვენის ისტორიის ცოდნის საღარო, დიდი განძი ჯერ კიდევ ადრე, სრულიად მოულოდნელად ჩააქრო...

ღვინობისთვის 22 დილით კაიგს გუნებაზე იყო, მხიარულობდა... მადლობა ღმერთს, კარგადა ვარ, მოვეწყე და ახლა-კი განვაგრძობ საქართველოს ისტორიის წერასო... გავიდა ბაღში სასეირნოდ, სადაც უცებ წაიქცა და სულიც განუტევა.*)

აწი მაინც ტკბილად განისვენე, მარად დევნილო, სამშობლოს მოყვარულო შვილო: შური და ქირდვნა ვეღარ მისწვდება შენს, წინად გრძნობიერ, მაგრამ აწ გაციებულ, გულს,—ჩვენი სამშობლოს მოღრუბლული ცა ერთხელაც იქნება—გადიწმინდება და შენც ღირსეული მოგეზღვება.

საუკუნოდ იქნება ხსენება შენი!..

**იოსებ არიმათიელი**

---

*) ღვინობისთვის 22 რიცხვი მის სიცოცხლეში საბედისწერო იყო: ცოლი და შვილიც ამ დღეს გარდაეცვალნენ.

# მდუმარება
(შორეულ მეგობარს)

როდესაც ჩვენ ბნელით მოცულ ოთახში ერთად ვზივართ და მხოლოდ თვალთა სხივებით ვსწვდებით სიღრმეს ურთ-ერთის სულისას და სული ჩემი შენს სულს უახლოვდება, მე მსურს, მეგობარო, გაუწყო გულის ნადები ჩემი, მინდა შეგატყობინო, თუ რას ეძიებს აზრი ჩემი, რას ეძახის დაობლებული სული ჩემი...

მინდა... მაგრამ...

ვსდუმვარ, მეგობარო, რადგან სუსტია სიტყვა გადმოგცე ძახილი ჩემის სულისა; მას არ ძალუძს გამოხატოს გრძნობათა ღელვა.

ბნელია კუთხე ადამიანის გულისა და სუსტია სიტყვა გაანათოს კუთხე იგი...

არ ძალმიძს ეს მე, მეგობარო, და ვდუმვარ... ვსდუმვარ!,

ვსდუმვართ ჩვენ ორივენი...

მაგრამ იცი, რა დიადია ჯადოსნური სამეფო მდუმარებისა?

და რათ გინდა სიტყვა ცბიერი, სიტყვა გესლიანი და მაცდური? უკუაგდე ის. დაე, მდუმარებამ მოიცვას ბაგენი შენნი და ნუ მოშხამავ სიტყვით წმინდა გრძნობათა ნაზ თაიგულს.

ჟამსა მდუმარებისას გაიგებ შენ, თუ რას ეძახის სული ჩემი. გაიგებ მის სევდას, გაიგებ თუ რით იტანჯვის გრძნობა და რას ეძიებს დაუღალავი აზრი მაძიებელ ადამიანისა...

და დაკარგულად ჩასთვალე შენ დღე იგი, როდესაც მდუმარებას არ მოუცავს ბაგენი შენნი, მდუმარებით არ გისაუბრია შენს სულთან...

ნუ გეშინიან მდუმარებისა, ვინაიდან იგია დასაბამი ბრწყინვალე საქმეთა, იგია აკვანი, წმინდა გრძნობათა გამზრდელ-გამფურჩქვნელი.

დიადია მდუმარება, და საშინელიც არის იგი, ვინაიდან მდუმარებაში სწყდება სიმები იმ ზღაპრული ქნარისა, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან, მდუმარებაში იწერება შავი ფურცლები შენის ცხოვრებისა და სამარადისო მდუმარება შთანთქავს მას...

საშინელია მდუმარება, ვინაიდან ამ მდუმარებაში გაიგონებ შენ ჯოჯოხეთურ ხარხარს ცხოვრების ჯალათისას და შავი მდუმარება გაქცევს შენ უფერო არარაობად...

მაგრამ... მაინც გიყვარდეს მდუმარება, ვინაიდან მხოლოდ მასში ჰპოვებ შენ ძლიერებას შენსას, ვინაიდან მდუმარებით ჩაიხედავ სულის სიღარიბეში და დაინახავ სახეს ადამიანისას...

მდუმარებდე შენ მეგობარო!.

და დაკარგულად ჩასთვალე ის დღე, როდესაც შავ მდუმარებას არ მოუცავს განუსაზღვრელი სიღრმე შენი სულისა.

და მდუმარებდე შენ, მეგობარო!

**ნ. მიწიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ სტაროსელსკი

ახოვანმა, წარმოსადეგმა კაზაკმა მარდათ გამოაღო კარი და პირდაპირ გუბერნატორის ოთახში ამოვყავი თავი.

გუბერნატორი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ათვალიერებდა

ერთი ნაბიჯი გადავდგი და გავჩერდი.

გუბერნატორი წამოდგა, შემომაჩერდა, ნახევარი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და შედგა.

არც სალამის, არც ხელის ჩამორთმევის ღირსი არ გავხდი!

ან კი რათ უნდა გავმხდარვიყავი?!

ისიც ჰენერალი და მარტო ჰენერალი ხომ არა,—გუბერნატორი! და მარტო გუბერნატორი ხომ არა,—რუსეთის გუბერნატორი!!

მე კი... მეც რუსეთის ქვეშევრდომი ვიყავი! რის ქვეშევრდომი,—მონა!

რუსეთში არიან გუბერნატორები, ბოქაულები, სტრაჟნიკები და მონები!

გუბერნატორი ჭაღარა იყო, მარილიანი სახისა, უბოროტო, კეთილი გამომეტყველებისა.

ის კი მაინცა და მაინც სცდილობდა, ყველა ეს ღირსება დაემალა და ჩემზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

— თქვენა ხართ ექიმი გომართელი?

დავრწმუნდი, რომ ზრდილობას არ იყო მოკლებული: თქვენობით მომმართა და არა შენობით, თუმცა მას, როგორც რუსეთის გუბერნატორს, სრული უფლება ჰქონდა, შენობით მოემართა: რუსეთში ხომ გუბერნატორები თვითონ ჰქმნიან უფლებებს, კანონებს, სავალდებულო დადგენილებებს და სხვა და სხვ

— დიაღ, მე გახლავართ.

— მე დანამდვილებით გავიგე... და ჩამომითვალა გუბერნატორმა, რაც გაეგო.

— თქვენო აღმატებულებავ.

— რის აღმატებულებავ, აღარ დამაცალა ქუთაისის პომპადურმა: მე თქვენ გაფრთხილებთ, თუ ყოველივე ამას არ დაანებებთ თავი, გადაგასახლებთ.

— თქვენო აღმატებულებავ...

— კმარა, ჩემთვის თქვენი საბუთები საჭირო არ არის. მე თვითონა მაქვს ჩემი საბუთები [illegible] ხართ,

ნამდვილი ნაპოლეონი, არც მეტი, არც ნაკლები!

მეც გამოვტრიალდი ისე, როგორც შეეფერება დიდი რუსეთის ქვეშევრდომს, და გამოვედი გარეთ....

დრონი იცვლებიან!

განვლო მგონი წელიწადმა.

იმავე სადგომში, იგივე კარი დინჯათ გამოაღო ჩვეულებრივმა მოსამსახურემ, რომელიც მგონი ჩემზე მაღალი არც-კი ყოფილა, და მე იმავე ოთახში გავჩნდი.

მაღალი, ხმელ ხმელი, ნახევრათ გაჭაღარავებული, სათვალეებიანი კაცი დავინახე. არც ჩინები, არც ორდენები, არც წითელი შალვარი,—ჩვეულებრივი სერთუკი და ისიც არც სულ ახალი.

— აა, თქვენა ბრძანდებით ექიმი გომართელი? ორივე ხელები გამოაშვირა ჩემსკენ და პირზე ღიმილით მომეგება.

— თქვენო აღმატებულებავ.

— ეე, რის აღმატებულებავ, დამიძახეთ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, მორჩა და გათავდა! —დაბრძანდით, დაბრძანდით.

თვითონ მომიწია სკამი და ორივე დავსხედით.

ეს იყო ახალი გუბერნატორი—ვლადიმერ სტაროსელსკი.

— მე არ ჩამოვსულვარ აქ იმ განზრახვით, რომ ხალხის მოძრაობას ვებრძოლო და შევაჩერო. ეს მე არა მსურს და, რომ მსურდეს კიდეც, არ შემიძლია. ჩემი მიზანია პირიქით, დავეხმარო ხალხს ამ მოძრაობაში და ბთავიდან ავაცილო ის არა სასურველი, მავნე მოვლენანი, რომლებიც ასეთ მოძრაობას მუდამ თან ახლავან.—აი სტაროსელსკის ნამდვილი სიტყვები.

თავის დაპირებას ის პირნათლად ასრულებდა.

დემოკრატი, მოსარჩლე ხალხის მოძრაობისა, ის ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის განახლება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ამიტომ თვითონ იღებდა მონაწილეობას მოძრაობაში, დადიოდა ყველგან—სოფლებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბებში და ცდილობდა, რომ მოძრაობა თავიდანვე ჩამდგარიყო მტკიცე კალაპოტში და უბრალო სისხლის ღვრას ალაგი არა ჰქონოდა.

არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა ისე, რომ არ დაჰკითხებოდა, სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებს.

მისი სადგომი მალე გადიქცა ერთ-გვარ კლუბათ, სადაც თავს იყრიდნენ ეს წარმომადგენლები და სტაროსელსკისთან ერთად თათბირობდენ.

ქუთაისში იმ დროს გამოდიოდა გაზეთი, სადაც ყოველდღე იწერებოდა კორესპონდენციები სხვა და სხვა სოფლებიდან მოძრაობის შესახებ.

— იმერლებს ერთი ზნე გჭირთ: აბაზის საქმეს რომ გააკეთებთ, თუმნისას ჰყვირითო, — მეუბნებოდა ერთხელ. მშვენიერია და ფრიად სასიხარულო, რომ სოფლებს ასე ედება მოძრაობა, მაგრამ რა საჭიროა ამისი წერა გაზეთში? ბევრი აკეთეთ, კიდევ მეტი, ვიდრე აკეთებთ, ხოლო ნუ იყვირებთო.

სამხედრო პირებს, კაზაკებს სტარ-სკი სძულდათ.

— ერთობის გუბერნატორი, წითელი გუბერნატორი! კაზაკები უძახდენ მას.

იყო ისეთი მომენტი ქუთაისში, როდესაც კაზაკებსა და ხალხს შორის შეტაკება და სისხლის ღვრა აუცილებელი იყო.

სტაროსელსკის დღე და ღამე არ ეძინა.

მან მოახერხა იმდენი, რომ კაზაკებს კაზარმებიდან აღარ უშვებდენ და ამავე დროს შუამდგომლობა აღძრა, რომ ისინი ქუთაისიდან ჩრდილო კავკასიაში გადაეყვანათ, და კიდეც მიაღწია მიზანს: მოვ-და ვორონცოვის განკარგულება კაზაკთა პოლკების პიატიგორსკში გადაყვანისშესახებ, მაგრამ სანამ ეს განკარგულება სისრულეში მევიდოდა რეაქციამ გაიმარჯვა.

— როდესაც კაზაკები აქედან წავლენ, ხალხის მოძრაობასა აქ მტერი აღარ ეყოლება! აი სტაროსელსკის სიტყვები.

ქუთაისის გუბერნიაში მოძრაობამ სწრაფათ და დიდზე გაშალა ფრთები. ამავე დროს ასეთ დიდ მოძრაობასთან შედარებით სისხლი ძალიან ცოტა დაიღვარა და მოხდა უმთავრესად სტაროსელსკის წყალობით.

იმის ალაგას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო ქუთაისში, საშინელი სისხლის ღვრა ატყდებოდა და ბევრი ხალხი დაიღუპებოდა· მოძრაობის გაღრმავება, გაზრდა და რაც შეიძლება ცოტა მსხვერპლი—აი სტაროსელსკის მიზანი.

ხალხმა მალე იცნო სტაროსელსკი და შეიყვარა ის.

მუშებმა რამდენჯერმე დაპირეს მისი ეტლიდან ცხენების გამოხსნა, რომ თვითონ შებმულიყვნენ შიგ და ამითი გამოეხატათ მისდამი სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ ასეთ განზრახვას პარტიების მეთაურები გადაელობენ წინ: რაც უნდა იყოს, მთავრობის მოხელეა და ასეთ ხანაში პროლეტარიატს არ შეშვენის, გუბერნატორს ოვაციები გაუმართოსო.

იმას უყვარდა ხალხი, უყვარდა მოძრაობა და სწამდა მხოლოდ ხალხის მოძრაობით მოპოებული უფლებანი.

— თქვენ გწამთ ხალხის სრული გამარჯვება? ვეკითხები მას.

— ახლა შესაძლებელია, ხალხმა თავის მიზანს ვერ მიაღწიოს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება კი მწამს შეურყევლად. უამისოდ ჩემი აქ ყოფნა დიდი სისულელე იქნებოდა.

— ჩემის აზრით მაინც არ უნდა მიგეღოთ ეს თანამდებობა ასეთ ხანაში.

— რატომ? შესაძლებელია დავიღუპო?

— დიახ!

— მერე რა ვუყოთ! თუ კი საერთო საქმე გაიმარჯვებს, მეც დავიღუპო.

მართლაც დაიღუპა საპირადო კეთილდღეობის გზაზე, მაგრამ ხალხის გულში უკვდავი ძეგლი დაიდგა, მოძრაობის ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა.

დაუღალავი, შეუპოვარი, უშიშარი, გაუტეხელი, გულწრფელი, კეთილშობილი, ადამიანი-მოქალაქე, რომელმაც თვისი თავი, ყოველივე საპირადო მსხვერპლად შესწირა დაჩაგრულთა კეთილდღეობას.

— აი ვლადიმერ სტაროსელსკი. ის ღირსია საუკუნო ხსენებისა და ექნება კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





**თავ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი პოლკოვნიკი.**

თბილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა მარშ.ლად მეორედ არჩეული, გასულ კვირას პეტროგრადში არჩეულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. დისწულ..ა ილია ჭავჭავაძისა, განათლებული კაცი და სამშობლო ქვეყნის ვითარების კარგად მცოდნე. უკანასკნელ საერობო თაბირზე იგი იყო მეუმრავლესობის ერთი ბელა დთაგანი, 48 წლისაა, ჯანღონით სავსე. უკანასკნელ ომში 11 თვე მონაწილეობდა, მიღებული აქვს რავდენიმე ჯილდო იგივე ითვლება სხვა და სხვა საზ-ის თავმჯდომარედ.

## დილა

დანელდა,
დაფერფლდა
ღამე საზარო.
გათენდა.
აჟღერდა
ფრინველთ სამყარო.
ატოკდა,
აროკდა
ბუჩქი, ფოთოლი.
ასხივდა,
ამძივდა.
ნამი ობოლი.
მოფრინავს
მობზინავს
მზის ოქროს გემი
და გული,
დაგული,
შვებას გრძნობს ჩემი!

ვ. რუხაძე

## ლოცვა

როს საღამო ჟამს მაგიდის გვერდით,
მარტოკა იჯდე დაფიქრებული
და შენს პაწია წმინდა ოთახში
სიჩუმე იყოს გამეფებული, —
ამ დროს მოგესმას გარედან უცებ
კარის რაკუნი, კვნესა, წუხილი —
გახსოვდეს: ჩემი აჩრდილი არის,
შენს სათაყვანოთ გადმოხვეწილი!

—

როცა ბალიშზე ოცნებით სავსეს
თვალი მოგტაცოს დესპანმა ძილის
და ჩამოგკიდოს ხშირ წამწამებზე
მარგალიტები, ვით ცვარის დილის—
თუ ამ დროს იგრძნო ტკბილი შეხება,
ჩუმი ალერსი და უტყვი ვნება.—
გახსოვდეს: ჩემი სულია იგი,
ფარვანასავით გარს რომ გევლება!

—

თუ თვალ-დახუჭულს ბნელსა ღამეში
სიზმრად სანთელი მოგეჩვენება,
იწვის ის შენს წინ, რომ მოგეშუქოს,
იწვის და თანაც ილევა—დნება.—
იცოდე: ჩემი გულია იგი,
შენთვის ზვარაკად გადაქცეული,
ჯოჯოხეთის ალს აღარ გაურბის,
თვითონ სამოთხით გამოქცეული!

—

ნაკუწ-ნაკუწად მე მას დავჭრიდი,
აღარ დავწვავდი, გავაცივებდი,
ყაითნად გრძნობის ძაფებს დავგრეხდი,
ზედ ავკანძავდი, ავამძივებდი,
თუ რომ ვიცოდე, მას კრიალოსნად
ათამაშებდი, ხელთ დაიჭერდი,
ხან სამაჯურად შამოირტყამდი,
ხან კი შეცდომით მკერდს დაიდებდი.

ფ. რუშაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეკ. კორნილე კეკელიძე
პირველი ქართველი რექტორი თბ. სას. სემინარიისა
(მიწვეულ იქმნა ორი კვირის წინად).

# დეკ. კორნელი კეკელიძე

1811 წელს, საქართველოს ეკლესიამ დაჰკარგა დამოუკიდებლობა. გენ. ტორმასოვის ბრძანებამ ივერიის ეკლესიას სამგლოვიარო ძაძა ჩააცვა.

საქართველოს კათალიკოსი ანტონ II და ქუთათელი მიტროპოლიტები ცივ ჩრდილოეთისკენ გაასახლეს, ხოლო ახალ მაკურთხევლად დანიშნეს ვინმე თეოფილაქტე, რომელმაც უცნაური სიკვდილი იგემა წმ. ნინოს საფლავთან—ბოდბეში. შეიცვალა ძირითადი წესწყობილება ჩვენი ეკლესიისა და დაღუპვის უფსკრულს ჩაექანა. გაქრა მისი საარაკო სიმდიდრე და მრავალ რიცხოვანი ქონება ჩამოეცალა მას. სიღარიბის სამოსლით შეიმოსა და ძალაუნებურად გახდა მსახური უზნეობისა.

თავად-აზნაურობის მიერ გაშლილ 30 წლების მხიარულ სუფრაზე ქართველი სამღვდელოებაც იღებდა მონაწილეობასა, თუმცა მას აქტიური მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს გასყიდვაში; პირიქით მისგან უფრო გვახსოვს მეტი თავდადება მისი არსებობისთვის. მაინც საერთო ძილმა გაიტაცა და ქართველი სამღვდელოებაც ძილს მიეცა ქართველის ხმალთან ერთად... თუ აღარ გვყვანდნენ გმირები მამულისა, თუ სამშობლოს დიდებისა და პატივის შარავანდედი ჩამოეცალა, საჭირო იყო სამღვდელოების ლმობიერი მაგრამ მწყრალი ხმა; საჭირო იყო პიმენ სალოსი, რომელიც განაშიშვლებდა და ამხილებდა თავად-აზნაურობის საქციელს; საჭირო იყო შეეკავებინა ხელი, რომელიც საბრალო ერის ზურგზე უწყალოდ მოლტს ატყლაშუნებდა, საჭირო იყო, შეეკრათ ახალციხის გზები, საითაც მიერეკებოდნენ ქართველ ყმებს, რომელსაც გაქრისტიანებული ბატონი სანადირო ძაღლებში სცვლიდა, მაგრამ „არსაიდან ხმა" და მუდმივ ფრთხილი და დარაჯი—საქართველოს ზნეობისა—სთვლემდა მრევლთან ერთად..

მაგრამ დაირეკა მე-60 წლების ზარი, შეტორტმანდა ჩვენი მდორე ცხოვრება, გამოჩნდა გაბრიელ ოქროპირი და მოყვნენ სხვანიც, რომელნიც მე-60 წლების მოღვაწეებთან ერთად ზრუნავდნენ დანგრეულ სამშობლოსთვის. ახალგაზრდობის ბანაკი დღითი—დღე იზრდება და თვითეული მისი წევრი უფრო დიდი ენერგიით ეკიდება საქართველოს საქმეს...

დეკ. კორნელი კეკელიძე, პირველი ქართველი რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა, ამ ბანაკის კარავში ბინადრობს...

იგი დაბადებულია ღარიბ მედავითნის ოჯახში (ს. ტობანიერში—1879 წ.). თბილისის სასულიერო სემინარია ბრწყინვალედ დაასრულა და სახელმწიფო ხარჯით იქმნა გაგზავნილი კიევის სას. აკადემიაში. აქ იგი სწერს საკანდიდატო თხზულებას: Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе". ამ ფრიად შესანიშნავ შრომაში მან მიიღო მაგისტრობა. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე იგი აღიკვეცა მღვდლად და ქუთაისში დეკანოზობის შემდეგ—1906 წელს 3 იანვარს დაინიშნა თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად.

მ. კორნელიმ დიდად იღვაწა აქ და ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადააქცია იგი. ახლა კი ბედმა უფრო ფართე ასპარეზი გადუშალა თვალწინ—სახელდობრ სემინარიის რექტურა. თბილისის სემინარია ერთად ერთი სასწავლებელი იყო წარსულის შავბნელ დროში, რომელიც თავის ჩაბნელებულ კედლებიდან გვაწვდიდა ნათელ აზრებით გამსჭვალულ ახალგაზრდობას. თამამად შეიძლება ითქვას—მან აღგვიზარდა წარსულ საუკუნის ქართველი ინტელიგენცია. დღეს კი, ამ სასწავლებელში ქართული

სახელი თითქოს მიმქრალა, საჭიროა მისი აღზნება!—აი, რა შეუძლია მ. კორნელის მოღვაწეობას.

მაგრამ აკ[ად]ლექ. კეკელიძე საინტერესოა, არა როგორც პირველი ქართველი რექტორი თბილისის სემინარიისა, არამედ როგორც მეცნიერი, რომელმაც ამ მოკლე ხანში თანისთანობით გამოამზეურა ქართული საეკლესიო მწერლობის საუნჯე. დღევანდლამდე მას 22 ძვირფასი საისტორიო ტომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის ფრანგულად გადათარგმნა მისი „Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ" ხოლო ინგლისურად „Древне Грузинскій Архіератиконъ". ახლა სამეცნიერო აკადემიის ხარჯით მინდობილი აქვს ვრცელი სერიის „Studia hagiogradhika deorgia"-ის დაბეჭვდა. ამას გარდა იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართულ ხალვთისმსახურო წიგნების შესწორება-გამოცემაში. ხოლო როგორც გადმოგვცემენ (გაზ. „საქართველო" № 224), დღეს იგი მუშაობს სადოქტორო თხზულებაზე: „ეკლესიასტეს განმარტება"—მიტ. სმირნელისა, თარგმანი ქართველ ფილოსოფოსის იოანე პეტრიწისა. მწერლობითი მოღვაწეობის გარდა მასვე ვხედავთ მომუშავე წევრად ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებებში. ჯერ იგი სრულიად ახალგაზდაა, ვუსურვებთ მისი მადლიანი მარჯვენა საქართველოს საქმისათვის არ დაჩრდილულს...

ალა ნორაელი

## ელეონორა

ელეონორა! შენა მღეროდი და თეთრი ტანი მარმარილოსი
ისე ტოკავდა და ირხეოდა, ვით ზღვის ფერია, ტყის ანგელოსი...
და შეგიყვარე... და შემიყვარდა ნაზ ჩუქურთმებად აყრილი ტანი,
ვით ჩემივ სახე, ყრმობის ღიმილით, ცისფერ ტილოზე გადანატანი,
მაგრამ, ოცნებავ, თვალთა სიცილით წამოხველ ჩემსკენ, გამოსრიალდი
და, ვით ნიავზე ყვავილთა დასტა, ისე ასტოკდი, წამოშრიალდი
და მითხარ:—წადი და დღეის შემდეგ გადამივიწყე, იყავი შორა!
— მე ეს ამბავი დღესაც არ მჯერა, ელეონორა!.. ელეონორა!..

ვეფხო-ფშაველი

## მძინარე არწივი

სძინავს არწივს! მრავალ-დროთა ტანჯვით დაქანცულს,
სძინავს დაჭრილს! სამარადო ომში დაცემულს.

—

სვავნი-კი... სვავნი უმაძღარნი თვალებს ჰკორტნიან,
ჰია-ღუანი ესევიან, წყლულებს უღრღნიან.

—

ჰაუ, არწივო! გაიღვიძე, გაშალე ფრთები,
გაჰკარი კლანჭი! შემუსრევი მოსისხლე მტრები!..

ხ. ერთაწმინდელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იძულებულნი

გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 43

**დონ იმან.** დიახ, მთელი ერი, რომელიც ცხოვრობდა წინედ თავის მშვენიერ ქვეყანაში, სადაც სუფევს მუდმივი გაზაფხული, და ცხოვრობდა ლაღად, ბედნიერად და არ განეცადნა არა ფერი უბედურება... მაგრამ შესცოდა ზეციერ მამასა ჩვენსა, მამასა ყოვლის ადამის ძეთა და განურისხდა უფალი ფრიად და განსდევნა თავის ქვეყნიდან და ახლა ილტვისკიდით-კიდემდე. მართალია, ახლა უკვე მოიქცა უფლის მიმართ მთელი გულით; მაგრამ უფალმა დაადგინა, რომ მხოლოდ იმ ჟამს, როცა აღივსება ქვეყანა ღვთის მცნებით, და ყველა ძენი კაცისანი დაიცავენ მის მოძღვრებით, და კანონებს, მხოლოდ მაშინ ეშველება იმ საბრალო ერსაც. ამასობაში დაძრწის აქეთ-იქით, ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში და ითხოვს მოწყალებას, მაგრამ ყველა ერნი გულ-ქვანი არიან, უარს ჰყოფენ მის ვედრებას და სდევნიან თავიანთი ქვეყნიდან.

**კლ.** ჩვენ მშვენიერ ქვეყანაშიც იყო?

**დონ იმან.** დიახ, ისპანიის ქვეყანაშიც იყო.

**დიეგო და კლარა** (ერთად). აქ, რასაკვირველია, მოწყალებას მოიღებდენ მათზე?

**დონ იმან.** არა, არც აქ მოიღეს. მათზე მოწყალება; აქ უფრო უდიერად მოეპყრენ სანამ სხვა ქვეყნებში.

**დიეგო.** მერე რატომ მეფესთან არ წავიდა საჩივლელად?

**დონ იმან.** მეფესაც მიმართა, მაგრამ არც მან შეიბრალა.

**დიეგო,** ნუ თუ მეფე ბოროტი კაცია?

**დონ იმან.** მეფეს დიახ სურდა მოეღო მათზე მოწყალება, მაგრამ გამოჩნდენ ბოროტი და ცოდვილნი ადამიანნი, რომელთაც მეფეს ცუდათ ჩაასმინეს და მეფე იძულებული იყო, ებრძანებინა: განდევნეთ ჩემი ქვეყნიდანო.

**დიეგო.** სად არის ახლა ის ერი?

**დონ იმან.** უმეტესი ნაწილი მის შვილთაგანი მოშორდენ ამ ქვეყანას და დასტოვეს აქ მთელი თავიანთი ქონებ-ცხოვრება, რომელიც მოპოვებული ჰქონდათ შუბლზე ოფლის მოწურვით და დიდი შრომით, და განილტვენ საძიებლად სხვა ნავთსაყუდელსა, მაგრამ ზევრს არ შეეძლო ამ ქვეყანას განშორებოდა, რის გამოც იძულებულნი გახდენ, მოეჩვენებინათ თავიანთი თავი მეფის მონებად, იმ მეფის შვილისავით, რომელზედაც გიამბეთ და მხოლოდ მაშინ დართეს ნება დარჩენილიყვნენ აქ, მაგრამ მათი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია; რომ გაიგოს მეფემ მათი ვინაობა, მაშინვე ბრძანებას გასცემს, დახოცონ.

**დიეგო** დახოცონ! ოჰ, რა საცოდავნი არიან?

**კლარა.** (ცრემლ მორეული). ოჰ, რა საშწუხაროა.

**დონ იმანუელ.** ჰო, მართალია, ძალიან საცოდავნი არიან, ძალიან, მაგრამ კეთილნი და წრფელნი, იმ დროს როდესაც მათი მტერნი და ბოროტის მაძიებელნი არიან ბოროტნი და ულმობელნი.

**დიეგო.** ვინ არიან?

**დონ იმან.** ამ ცოტა ხანში მაგასაც შეიტყობთ. მხოლოდ ახლა პასუხი მომეცით ერთ კითხვაზე: რას არჩევდით, ჩემო საყვარელო შვილებო: იმას, რომ ყოფილიყავით შვილნი იმ საბრალო და კეთილი ერისა, რომელიც არ სცოდავს უფალს და არავითარ კაცს არას ერჩის, თუ იმას, რომ ყოფილიყავით შვილნი იმ ბოროტ და სასტიკ ერისა და გედევნათ კეთილი და წრფელი ხალხი?

**დიეგო.** (დაფიქრდება ერთ წუთს) მე ვარჩევდი ვყოფილიყავ კეთილი წრფელნი.

**კლარა.** მე არას გზით არ ვისურვებდი კეთილი ადამიანებისთვის დამეშავებინა რამე.

**დონ იმან.** კარგი შვილებო. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ მაგას მომიგებდით. მაშ იცოდეთ, ჩემო საყვარელო შვილებო, რომ ის ერი, რომლის შესახებაც გიამბეთ, ეს-ეა ახლა, ის ერია ებრაელთა ერი. ებრაელები.

**დიეგო და კლარა.** (გაოცებულნი) ებრაელები??

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დონ-იმან.** ჰო, ებრაელები. წინედ, რამდენიმე ასის წლის წინად ებრაელები ცხოვრობდენ თავიანთ ქვეყანაში, ებრაელთა ქვეყანაში, მშვენიერ პალესტინაში, რომლის შესახებაც ბევრჯერ მიამბნია თქვენთვის, და ცხოვრობდენ იქ ლაღად, ბედნიერად. მაგრამ იმათ შესცოდეს ღმერთს, განსდევნა თავიანთი ქვეყნიდან და დაატყვევა უცხო ქვეყნებში; მას აქეთია გაფანტულნი არიან, დაძრწიან და ილტვიან მთელი დედამიწის ზურგზე, სადაც მივლენ, აწუხებენ, და სდევნიან, ვინაიდან ქვეყნად მოიპოვება ბევრი ბოროტი და შეუბრალებელი ხალხი. ხომ ბევრჯერ გაგიგონიათ, როგორ აგინებენ და ლანძღავენ, აქ ებრაელებს. მაშ დღეიდან უნდა იცოდეთ რომ ის კაცნი, რომელნიც ლაპარაკობენ ებრაელებზე ბოროტს, თვით არიან ბოროტნი და ავაზაკნი.

**დიეგო.** (ნაღვლიანად). სად არიან ახლა ებრაელები? ჩვენ ქალაქშიც მოიპოვებიან?

**დონ იმან.** ჰო, ბევრი მათგანი ჩვენ ქალაქშიც მოიპოვებიან.

**დიეგო.** ნახვაც შეიძლება იმათი?

**კლარა.** რა ძალიან მინდა იმათი ნახვა!

**დონ იმან.** რამდენიმე მათგანი შემიძლიან ახლავეც დაგანახოთ.

**დიეგო და კლარა.** (იხედებიან აქეთ-იქით გაოცებით). აბა? სად არიან?

**დონ იმან.** (წამოდგება ფეხზე და უჩვენებს თითით იქ მსხდომელებზე). ხედავთ ყველა ამ კაცებს? (დიეგო და კლარა შეჰყურებენ გაშტერებით და ელიან). რა აზრისანი ხართ, შვილებო, ამ კაცებზე, კეთილნი ხალხია თუ ბოროტი?

**დიეგო.** რა თქმა უნდა, კეთილი და პატიოსანნი. მამა მუდამ იმას ამბობს, ეს ხალხი ჩემი უახლოესი მეგობარიაო.

**კლარა.** ჩემთვისაც კარგი საჩუქრები მოაქვთ ხოლმე, მკოცნიან და ძალიან ვუყვარვარ.

**დონ იმან.** ჰო და, ყველა ეს პირნი, რომელთაც კარგად იცნობთ და იცით, რომ ძალიან კეთილნი არიან, რომელნიც გიყვართ და რომელთაც თქვენც უყვარხართ ებრაელები არიან.

**დიეგო და კლარა.** (გაოცებულნი). ებრაელები?!

**დონ იმან.** და მე, ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენი მასწავლებელი, რომელიც გასწავლით კეთილის ქმნას, კეთილად და წრფელად ყოფნას, თქვენი მასწავლებელი, რომელიც ძალიან გიყვართ და რომელსაც თქვენც უყვარხართ—მეც ებრაელი ვარ!

**დიეგო და კლარა.** (სდუმნან აღებენ პირს და აღარ ძალუძთ სიტყვის წარმოთქმა).

**დონ იმანუელ.** (უჩვენებს დონ-ალონსოსა და დონა-ლაურაზე). და თქვენი მშობლები, ხომ კარგათ იცით რა კეთილნი, რა წრფელნი არიან და როგორ უყვარხართ—აი, ისინიც ისინიც ებრაელები არიან.

**დიეგო და კლარა.** (კვალად გაოცებულნი სდუმნან).

**დონ იმან.** (ანიშნებს დიეგოსა და კლარაზე). და თქვენ, ჩემო პატარა შვილებო, ხომ ასეთი კეთილნი ხართ, ესოდენ უმანკონი, ესოდენ მშვენიერნი და კარგნი,—თვით თქვენც ებრაელები ხართ!

**დიეგო და კლარა.** (თავზარ დასხმულნი და თვალები გაგანიერებულნი შეჰყურებენ. მათი გაოცება უკანასკნელ წერტილამდე აწევს, და შეჰყურებენ ყველა იქ მსხდომთ ეჭვით, თითქოს იმათგან ელიან გაიგონ მართალია რაც ახლა გაიგეს, თუ არა).

**დონ ალონსო და დონ-ლაურა** (წამოდგებიან ორთავე ადგილებიდან, მოეხვევიან შვილებს და ეუბნებიან შეკავებული ტირილის ხმით). დიახ, დიახ, ჩემო შვილებო, ჩემო ზავშვებო, ჩემო საყვარლებო, ჩემო ჩიტებო, ჩვენ ყველანი ებრაელნი ვართ და თქვენც ებრაელნი ხართ. ჩვენ სუყველა შვილნი ვართ იმ კეთილ, წრფელ და საცოდავ ერისა, რომელსაც მარადის სდევნის ბოროტი ხალხი, და მუდამ მიისწრაფვის მის სისხლის დასათხევად. ოჰ, ჩემო შვილებო, ჩემო შვილებო!

(ყველა სტუმრები დგებიან თავიანთი ადგილიდან, შემოეხვევიან მშობლებს და ყმაწვილებს. რამდენიმე ეხვევა ყმაწვილებს და ჰკოცნის. რამდენიმე იწმენდენ ცრემლებს).

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროვინციის მოღვაწე ქალები

## (ეველინა წუწუნავას გარდაცვალების გამო)

ღვინობისთვის 15 ქ. ოზურგეთში (გურია) შავ სამარეს მიაბარეს ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, პროვინციაში მოღვაწე, ქალთა მოწინავე წრის ერთი საუკეთესო წევრი და ჩვენი ღარიბი სცენის ერთგული მოსამსახურე ეველინა რაჟ. წუწუნავა

ვინც მას იცნობდა, ძლიერ ჩაფიქრდება, მწვავე მოგონებები გადაეშლება და თვალ წინ წარმოუდგება ის ნარ-ეკლიანი გზა, რომელიც გაიარა ეველინამ... სევდა შეგიპყრობს, როცა ასეთი ცოცხალი ადამიანი შორდება წუთი სოფელს...

პატარაობიდანვე ცოცხალი მოსაქმე, დაუღალავი, მოუსვენარი ეველინა ადრიანად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე; ყოველი დაბრკოლების საზღვრები გადალახა და გატაცებით შეუდგა თეატრის სამსახურს. ეს გახლდა იმ დროს, როცა გურიის ცხოვრებაში თეატრი ახალი მოვლენა იყო, როცა ხალხს არ ესმოდა ხელოვნების მნიშვნელობა, როცა დახმარების მაგიერ დასცინოდენ, როცა სოფლად კვლავ წყვდიადი მეფობდა...

სცენის მოყვარეთა იმ მცირე ჯგუფმა, რომელიც ჯერ კიდევ 1900 წლამდე შედგა ახალგაზრდებისაგან ჩვენი აწინდელი ნიჭიერი რეჟისორის ალექ. წუწუნავას ხელ-მძღვანელობით, ოზურგეთში ქართული წარმოდგენების მართვას საძირკველი ჩაუყარა; აქედან იწყება მისი თან და თანობით განვითარება. ვინ ასწერს, ამ ჯგუფს რა გაჭირვება არ განუცდია ძალების უყოლობის უბინაობის, ნივთიერ შევიწროების, დამცირების და მასხარად აგდების მხრივ. მიუ ხედავათ ყოველგვარ განსაცდელისა, მან შესძლო თავისი მოვალეობის ასრულება და გურიაშიც ფრთა გაშალა სასცენო ხელოვნებამ.

ამ ჯგუფის ისტორიაში ჩაქსოვილია ეველინას მოღვაწეობა. ის ბავშობიდან მხნედ შეუდგა სასცენო მოღვაწეობას საზოგადოების სამართლიანი ყურადღებაც დაიმსახურა და ჩვენს სახალხო ხელოვნებაში თავის წვლილიც შეიტანა აყვავებაში ..

შეუდარებელია მისი შრომა ამ მხრით, დაუფასებელია მისი მოღვაწეობა, მაგრამ მხოლოდ სასცენო მოღვაწეობით არ თავდება ეველინას საქმიანობა. ხალხის გათვითცნობიერებას სხვა მხრივაც ხალისიანათ, დაუზარებლივ ემსახურებოდა თავის ამხანაგ თამარა აბაშიძესთან ერთად (თამარა აბაშიძე 1911 წ. გარდაიცვალა) ძიმე შრომის უღელში შებმული ც[illegible]ლობდა ქალ[illegible] გამოფხიზლებას, ქალთა წრის გათვითცნობიერებას. ხელმძღვანელობდენ რეფერატ-ლექციების მოწყობას, მონაწილეობას იღებენ ეგ ხინოშვილის სამაზრო კომიტეტში, ქალთა წრის დაარსებაში (ეველინა თავმჯდომარე იყო) და სხ. ერთი სიტყვით სხვებთან ერთად შრომობდენ და საქმიანობდენ. მათში არ იყო ეგოიზმი, ფუქსავატობა, სხვა ქალებივით გუდგრილი ცხოვრება, დრის უბრალოთ დაკარგვა, უაზროთ ყოფნა, მედიდურება, ამპარტავნობა... მათ ხალხი უყვარდათ, ხალხთან ერთად მოგზაურობდენ, ხალხს ისინი უყვარდა... ხშირათ იტყოდენ ოზურგეთში. ეს ორი ახალგაზრდა ქალი შეუდარებელია, ეს ორი ჭეშმარიტი ადამიანია...

თამარა და ეველინა! ეს ორი სახელია, რომელიც დაუვიწყარია ოზურგეთის შეგნებულ ხალხისათვის, ეს ორი მომქმედია, სხვების მაგალითის მომცემი..-

ცხოვრების უსწორო ხვედრმა უდროოთ გამოაცალა ეს ორი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მშობლებს, მოწინავე ქალებს, ამხანაგებს, საერთო საყვარელ საქმეს, ამ ქვეყანას... მომავალი მადლობით მოიხსენიებს მათ ამაგს...

**ახლობელი.**

# სიკვდილის მოლოდინში

მეორე დღეს დილით იმ საავადმყოფო განყოფილებაში შეველ, სადაც წინა დღით ქართველები მღეროდნენ, და რამდენიმე ცალი სხვა და სხვა ქართული გაზეთიც მივუტანე საკითხავად. ისინი მოწყენილი დამიხვდენ, დანა კბ ლს არ უხსნიდათ. მე იმათ გავეცანი, სათითაოდ ჩამოვართვი ხელი, ვინაობა ვკითხე და ბოლოს მოწყენილობის მიზეზიც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკითხე. ერთი მათგანი წამოდგა წინ და მითხრა:

— გუშინ ერთ ჩვენს ამხანაგს ოპერაცია გაუკეთეს. წუხელის ანთება აუვარდა თავში, ახმაურდა, ბოდვას მოჰყვა. ავადმყოფები არ დააძინა. ჩვენ კიდევ გავიტანთ ერთმანეთს როგორც ქართველები, მაგრამ აქ ბევრი სხვა და სხვა ხალხია: რუსები, სომხები, და სხვები ყველამ არ მოითმინა, ვერ გაუძლო ხმაურობას, მთელი ღამე არ დაუძინიათ. დილა მორიგე ექიმს შეატყობინეს. მორიგმა ავადმყოფი გაშინჯა და სასიკვდილო ოთახში გადიყვანა. ამ დილით ვნახეთ, ცოტა მოხედვითაა, მაგრამ რას მოასწავებს მისი მოხედვა არ ვიცით... ექიმს უთქვამს სისხლი აქვს მოწამლულიო. ამ დილაზე სახლში ტელეგრამა გაგვაგზავნია. იქნებ ცოცხალს მომისწრონო. საწყალი თვითონაც ატყობს თავის თავს, რომ მძიმე ავადმყოფია... იმას თუ დაემართა რამე ჩვენი დიდი დანაკლისი იქნება... ძალიან მხიარული კაცი იყო...— დაათავა და დაღვრემილი თვალებით ამხანაგებს გადახედა.

ეს ამბავი რომ შევიტყე, იმ წამსვე მივხვდი ვისზედაც ამბობდა, გამოვბრუნდი და ავადმყოფის სანახავად წაველ.

ოთახი, სადაც ჩვენი ავადმყოფი იწვა, ვიწრო და ბნელი იყო. ჩრდილოეთით ერთი ფანჯარა საკმაო სინათლეს ვერ იძლეოდა. ნახევარი ოთახი ავადმყოფთა საბანაო აუზებს ეჭირა. იატაკი კარიდან დაწყებული ცემენტისა ჰქონდა, რომელიც ნახევარ ადლამდე იყო ამაღლებული. შემოსავალ კარის ზღურბლიდან-კი ჩაღრმავებული. ჭერიდან ჩამოშვებული იყო ერთი ელექტრონის ლამპარი. აუზს ერთ ალაგს ტყვიებით დაჭრილი, მარჯვენა ხელის თითებ დაგლეჯილი ავადმყოფი უჯდა, ჩაეყო ხელი წყალში და დრო-გამოშვებით შეაცურებდა ხოლმე. ჩაღრმავებულ ალაგს ტახტზე იწვა ჩვენი ზემოხსენებული ავადმყოფი. ავადმყოფის შუა სარეცელთან ორი უზურგო სკამი იდგა. ფეხებისაკენ დაბალი ოთხკუთხიანი მაგიდა წამლებით, ავადმყოფს წინ მოწყალე და უჯდა, შუა ხნის ქალი, პირფართო, ქერა, სქელ-სქელი. ის ჩასჩერებოდა ავადმყოფს თვალებში, თითქო მის გულის მოძრაობას მოწიწებით უგდებს ყურსო. მის სახეში შებრალება და მზრუნველობა გამოიხატებოდა ავადმყოფისადმი. ავადმყოფი იწვა ტახტზე, უძრავად, ვით ლოდი. ხელები საბნის ქვეშიდან გულზედა ჰქონდა დალაგებული. სახე ცეცხლივით ანთებული. თვალები წამოწითლებული. ჩემს დანახვაზე შეინძრა, ძალზე გახილა თვალები და განცვიფრებით მომაშტერა.

— დაბძანდით. მითხრა დამ და თვითონ მეორე სკამზე გადაჯდა. მე დავჯექ.

— როგორ არის?— ვკითხე ჩუმად დას. ავადმყოფზე.

— ცუდად... საშიშია..— მიპასუხა და მწოლარეს საბანი გაუსწორა.

— მიცანი?- ჩავეკითხე ავადმყოფს დაბალის ხმით. ავადმყოფმა ამ კითხვაზე თვალები შეათამაშა, თითქო ცნობა უნდა მოიკრიბოსო და მისუსტებულის ხმით ამოილაპარაკა.

— გიცანი... გუშინ ჩემ ოპერაციაზე გნახე.

— ხომ წუხანდელზე უკეთესად ხარ?

— წუხანდელი არაფერი მახსოვს... მითხრეს, სიცხე გქონდაო, ახლა არა მიშავს, მგონია უკეთა ვარ... უფრო კარგად ვიქნებოდი, მაგრამ ამ ოჯახ დასაქცევებმა რაღაც წამალი დამალევიეს იმ დილას... მას მერე გულზე ცეცხლი მეკიდება, ანთება მიჩნდება... ვიცი აქ ძალად მომკლავენ... ასეც რომ არ იყოს, ამ ოთახში მხოლოდ სასიკვდილო ავადმყოფებს აწვენენ... აქ მეშინია მოსვენება მეკარგება... უფრო ცუდად ვხდები... ავადმყოფობა ერთი-ორად მემატება... მიშველე რამე თუ ძმა ხარ... აქედან გადამიყვანონ... ამ ალაგს ჩემისთანები ბევრი გაუსტუმრებიათ საიქაოს... რა ნახეს ჩემში იმისთანა.. სასიკვდილოდ რომ გამამზადეს?...

სთქვა მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ძალზე აღელდა.

— სიკვდილის ნუ გეშინია... შენ მარტო გინდა ყოფა მოსვენებით, იმიტომ გადმოგიყვანეს აქ.. იქ ავადმყოფების ხმაურობა შეგაწუხებდათ. დამშვიდდი. კარგად იქნები, გულში შიშს ნუ გაივლებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაიმედე. ჩემი ნუგეში იმან ახლოც არ მიიკარა, ტანში შეაქრქოლა, დაიღრიჯა და გაწამებულმა ენაზე იკბინა. ერთ-ხანს იყო გატვრინული, უხმოდ, თითქოს ძალას იკრებს და ბოლოს მძიმე ამოხვრით უიმედობით ამოიკრუსუნა.

— ვიცი რაც ამბავია ჩემს თავს... —სთქვა და ენა ჩავარდნილისავით ჩაჩუმდა. მე მაჯა გაუშინჯე. მაჯა სუსტად უცემდა.

— დილას რამდენი ჰქონდა სიცხე? — ვკითხე დაბალის ხმით დას.

— ოცდა თვრამეტ ნახევარი. — ჩამჩურჩულა დამ ყურში, ავადმყოფს რომ არ გაეგონა.

— დავიჯერო არ მორჩება? —გავუმეორე კითხვა დას.

— ექიმმა სთქვა არ მორჩება, სისხლი აქვს მოწამლულიო. ტანზე წითლად ყრის. თავის ქნევით მითხრა დამ. ამ პასუხმა ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. გულზე ნემსივით მიხვდლიტა. ჩვენ ლაპარაკს ავადმყოფი გაფაციცებით ადევნებდა თვალ ყურს. უნდოდა გაეგო რას ვლაპარაკობდით. მან იცოდა რომ ლაპარაკი იმაზე გვქონდა.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა ავადმყოფის მძიმე სუნთქვა. მისი გულის დაგდუგი. და აუზში წყლის შხაპუნი. რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ გამოველაპარაკე მწოლიარეს.

— სადაური ხარ შენ?

— ქუთაისის გუბერნიიდანა ვარ... სოფელ ოკრიბიდან... ცოტა შემოდლებული ხმით მიპასუხა მან.

— რამ გატკინა ყური?

**ევ. ფურცხანიძე**

# წვრილი ამბები

— **თ. ჟორდანიას** დღეს ქაშვეთის ეკლესიიდან გაასვენებენ წირვის შემდეგ დაკრძალვენ. დიდუბეში ქართველ მოღვ. პანთეონში.

— **ია. ფართამბამა** გიორგობისთვის 6 „ახალ კლუბის დარბაზში“ შუადღით წაიკითხავს ლექციას „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“, 2 განყოფილებად (შ. მღვიმელის ნაწარმოებთა სრული გარჩევა).

— **ხარფუხის კლუბი** ლვინობისთვის 25 ახალ ბინაზე გადავიდა (მიხეილის პრ. 65). დარბაზი მორთულია, გამართულია სცენა; აქვეა სამკითხველო.

— **სურამის დრ. საზ-ის** თავმჯდომარედ არჩეულმა გ. შალიბაშვილმა უარი განაცხადა. მისნაცვლად არჩეულ იქმნა ქ-ნი მარიამ ბეჟანის ასული იონათამიშვილი. საზ-ბ ის გამგეობამ ამ ზამთრისთვის წარმოდგენების გასამართავად გორის მაზრის სამხედრო უფროსს. ადგილობრივ კამანდის შენობა სთხოვა იმ პირობით, რომ წარმოდგენების შემოსავლიდან 10°/o დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ გადაიდოს.

— **თედო ჟორდანიას** გარდაცვალების გამო თბ. სასულიერო სემინარიამ დაადგინა: 1. ყოფილ მოწაფეთა შორის ხელის მოწერით ფული შეაგროვოს და ერთი სტიპენდია დანიშნოს განსვენებულის სახელზე; 2. გვირგვინის ნაცვლად, ერთი ღარიბი მოწაფე გაანთავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან და სხ.

— **ბაქოს დრამ. წრის** სეზონი დაიწყო ღვინობისთვის 16 შალვა დადიანის რეჟისორობით. წარმოადგინეს „ქრისტინე“ წარმოდგენის დაწყებამდე შ. დადიანმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას. დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა.

— **სურამის დრამ საზ-ის** თავმჯდ. გ. შალიბაშვილის წინააღმდეგ ამხედრებულთა საპასუხოდ სურამის საზ-ის 59 წარმომადგენელი ვრცელი წერილით („სახალხო ფურცელი“ № 703) ამტკიცებს, რომ—გ. შალიბაშვილი სურამის ყოველ საკულტურო საქმის დაფუძნება-აღორძინებაში გულწრფელ მონაწილეობას იღებს, ადგილობრივ საზ-ის წინსვლას ხელს უწყობს, მისი თაოსნობით დაარსდა ადგილობრივი დრამ. საზ., რისთვისაც შეაგროვა ფული, იყიდა მიწა; თავის გულწრფელ მუშაობით ყველას სიყვარული დაიმსახურა, რისთვისაც გ. შალიბაშვილს უცხადებენ „გულწრფელ თანაგრძნობას უგვანო ადამიანთაგან მიყენებულ ცილის წამებისათვის“, ხოლო მის წინააღმდეგ ამხედრებულთ „ზიზღს და განკიცხვას“

— **კასპში თ. ჟორდანიას** გარდაცვალების გამო ღვინობ. 25 ადგილობრივ მღ. ს. მაჭარაშვილის, მასწავ. თაბუკაშვილისა და ცხვედაძის თაოსნობით, მოწაფეთა და საზ-ის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი. მღ. ს. მაჭაოაშვილმა მოკლე სიტყვით დაახასიათა განსვენებული.

— **თ. ჟორდანიას** პირველ პანაშვიდს, 24 რომელიც გადახდილ იქმნა პლატონ ეგსარხოსის მიერ ანტონ ეპისკოპოსის, ნაზარი არქიმანდრიტისა, სემინ. რექტორის კორ. კეკელიძისა და სხ. თანამსახურობით, დაესწრენ კულტურულ დაწესებულებათა, სასწავლებელ, პრესის, თავ.-აზნაურთ, ქალაქთა და სხ. წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

— **მომავალ ნომრიდან** დავიწყებთ ბ-ნ სილოვანის წერილების „კრიტიკული შეცთომები“-ს ბეჭდვას.

— **სახალხო სახლში 22 X** შათირიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა „ისმინე ისრაელ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „დავა“ (ერთი სურათი). მსახიობ-სცენის მოყვარეთ ორივე პიესა რიგიანად წარმოადგინეს, განსაკუთრებით „დავა“ იყო საუცხოვო აქ მონაწილენი (ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ელენტი, მსახურის აღმასრულებელი და სხ.) თითქო ერთმანეთს ეცილებოდენ, ამიტომაც პირველი პიესის მძიმე, ბურუსიანი შთაბეჭდილება ამან გამოისყიდა. „ისმ. ისრ.“ ღრმა იდეურ პსიხოლოგიური პიესაა, მისი განსახიერებაც ფრიად ძნელია და იქნება ესეც იყო მიზეზი, რომ მაყურებელთა დიდი ნაწილისათვის თითქმის მიუწდომელი იყო. აქ მაინც მკაფიოდ დაგვისურათეს ნაკისრი როლები ან. ქიქოძემ (სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ამ მსახიობ ქალის ყოველმხრივი წარმატება) ელ. ციმაკურიძემ და ვ. გამყრელიძემ. დანარჩენნიც, განსაკუთრებით ა. მეტრეველი, პიესის მთლიანობას ხელს უწყობდენ

ურიგო არ იქნება, ასეთი პიესების წარმოდგენის დროს პიესის დედა-აზრს რამდენიმე სიტყვით გააცნობდენ მაყურებელთ,

ფრიად სამწუხაროა დამსწრე-მაყურებელთა თავდაუჭერლობა: მოქმედების დროს უალაგოდ ღრეჭა. ჩურჩული, უხამსი წამოძახილი და სხ. ადამიანს (განსაკუთრებით მსახიობს) რკინის ძარღვები უნდა ჰქონდეს-რომ ყოველივე ეს აიტანოს და არ ჩაფლავდეს!—სირცხვილია, სირცხვილი კაცი გინდა ქალი თეატრში იჯდეს და თავი ბოსვლში ეგონოს.

**ქ. არმავირში** თითქო ოთხი-ხუთი თვე იქნება, ქართული წარმოდგენების მართვა მიყუჩდა. ხალხს სწყურია სულიერი საზრდო, მომწოდებელი და ანგარიშის გამწევი-კი ნაკლებად სჩანს. მართალია აქ ამ ერთი წლის განმავლობაში (ისიც წ. კ. განყოფილების დამფუძნებელთა წყალობით) რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა მაგრამ მხოლოდ ერთი პიესა იყო ხეირიანად დადგმული.

არმავირში ერთი მუჭა ქართველობაა და ერთმანეთის პატივის ცემისა და ხელის შეწყობის ნაცვლად სამწუხაროდ ურთიერთს ამცირებენ, ხელს უშლიან. ვინც ს ზოგადო საქმით დაინტერესებულია, ვისაც ხალხი და მისი ინტერესები უყვარს, ის არაოდეს არ დაივიწყებს საზოგადო საქმეს, არ მიაქცევს კერძო ინტერესებს და რითაც-კი შეიძლებს, ხელს გაუწოდებს საერთო საქმეს, რა საჭიროა ერთმანეთის დამცირება, ლანძღვა-თრევა, ქიშპი, დემაგოგია? დროა, დრო ასეთი ზნე-ჩვეულება მივატოვოთ და გულწრფელად მოვეკიდნეთ საერთო საქმეს.

ოთხშაბათს, 5|X ახლა თეატრის [1]) დარბაზში, ადგილობრივი სცენის მოყვარეებმა ბ ს. სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა„, დრ. 5 მოქ. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ეს იმითი აიხსნება, რომ ჯერ ერთი სცენის მოყვარეთა უმეტესობა პირველად გამოვიდა სცენაზე, მეორეც მათ შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი (მხოლოდ ოთხიოდე პირი ასრულებდა კარგად ნაკისრ როლებს). იმედია საქმე თავის კალაპოტში ჩადგება და ის ახალი სცენის მოყვარენი, რომლებიც პირველად გამოვიდნენ სცენაზე, მომავალში ნაკლს შეივსებენ. ხალხი ბლომად დაესწრო, შემოსავალიც გვარიანი იყო. აღსანიშნავია ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ადგილობრივ ქართველებს ადგილობრივი სომხობა დიდის თანაგრძნობით ჰხვდება, წარმოდგენებზე ყოველთვის ბლომად ესწრებიან და საზოგადოებას ნივთიერადაც ეხმარება. მადლობის ღირსნი არიან ყველა ის პირნი, რომელთაც შრომა არ დაიზარეს ზემო აღნიშნულ წარმოდგენაზე და განსაკუთრებით გამო კაშაურისა, ანასტასია კარიაული და ნინო კაიშაურის ასულნი, რომლებიც თავიანთ შრომას არ იშურებენ საზოგადოების საკეთილ დღეოთ (ბილეთები პროგრამების ყვავილებს გაყიდვით და ბუფეტში მუშაობით).

საჭიროა არმავირის სცენის მოყვარეებმა პირადი უთანხმოება მოსპონ, ანგარიში გაუწიონ ხალხის სურვილს, სისტემატიურად მართონ წარმოდგენები და პიესების არჩევაშიც დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ.

**მედგარი**

კონსერვატორიის პროგრ. ვამზადებ **სტრიპაძე ილიო ქურხული** მი-სა-მართი წერილით: Орхевскій пер. д. 7

**ახალი კლუბი** 1 ქვირის პროგ 03 ღვინ. 6გიორ

**ქვირა** — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

**ორშაბათი**—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი.

**ოთხშაბ.**—სინემატოგრაფი.

**ხუთშაბ.**—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

**პარასკ.**—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

**შაბ.**—სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.

**ქვირა**—რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

**დასაწყისი**: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა

**შესასვლელი** ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი—1-მან.




რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**